წარმატებული ლიდერობის ფაქტორები

თეიმურაზ მინაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

მ ე ნ ე ჯ მ ე ნ ტ ი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პაატა ბრეკაშვილი ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თეიმურაზ მინაძე

20.01.2023

აბსტრაქტი

ისტორიულად ლიდერის როლის მნიშვნელობა კაცობრიობის განვითარებისთვის ერთ-ერთ მთავარ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენდა. ეს იქნებოდა მისი როგორც საზოგადოებრივი ცივილიზაციის სახით განვითარება თუ ინდივიდის კულტურული მხარე. საზოგადოების ცხოვრებაში მიმდინარე ყველა მოვლენას სჭირდება მართვა და ამ პროცესის სათავეში მოისაზრება ლიდერის ფენომენი. თანამედროვე სამყაროში, სადაც ეკონომიკური თუ კულტურული პროცესები სწრაფად ცვალებადია, მმართველობით სისტემაში ლიდერის მნიშვნელობის ფასი უფრო მეტად გაიზარდა. აქედან გამომიდინარე სამაგისტრო ნაშრომის კვლევის თემას წარმოადგენს წარმატებული ლიდერის ფაქტორების გამოვლენა და მასთან დაკავშირებული იმ მიმდინარე პროცესების გაანალიზება, რაც განსაზღვრავს წარმატებულ ლიდერობას.

კვლევითი პროცესი საბოლოო მიზნის მისაღწევად, დაიგეგმა და განხორციელდა როგორც კაბინეტურ ასევე თვისობრივ ეტაპად. თითოეული ეტაპი მოიცავდა მასში შემავალ სხვადასხვა მეთოდებს როგორიცაა სამეცნიერო მასალების დამუშავება, მიზნობრივ ჯგუფებთან ინტერვიუები და ა.შ. კვლევის შედეგად გამოვლინდა ლიდერობის წარმატების ფაქტორები და ამ ფაქტორთა განმსაზღვრელი გარემოებები. ასევე კვლევამ აჩვენა სხვადასხვა სახის პრობლემები ლიდერობის საკითხში საერთაშორისო და განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში. გაირკვა რა როლს თამაშობს ლიდერი ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში და პირიქით, რამდენად დიდ გავლენას ახდენს ორგანიზაციული კულტურა ლიდერის, როგორც პიროვნულ ასევე მმართველობით სტილზე. მიღებული კვლევის შედეგები იძლევა საშუალებას, დაინტერესებულმა მხარეებმა სამომავლოდ, სწორად განსაზღვრონ ლიდერობის საკითხთან დაკავშირებული სხვადასხვა სტრატეგიული ხედვები, რათა ამ მიმართულებით მათი მოქმედებები წარმატებული და შედეგიანი იყოს.

ძირითადი საძიებო სიტყვები არის: *ლიდერი, ორგანიზაციული კულტურა, ლიდერის სახე, მმართველი, მმართველობითი სტრატეგია.*

Abstract

Historically, the importance of the role of a leader was one of the main determining factors for the development of mankind. This is it in general, as its public discussion, as a separate cultural side. The first ongoing event of society is the management of all needs and the phenomenon of the thought leader at the head of this process. In the modern world, where economic and cultural processes are rapidly changing, the value of the leader's importance in the governance system has increased more. The research topic of the master's thesis is the identification and description of the leadership factors, the analysis of the current processes that determine successful leaders.

The research process to achieve the final goal was planned and implemented both in the cabinet and qualitative stages. Each stage included different methods such as processing of scientific materials, interviews with target groups, etc. As a result of the research, the factors of leadership success and the determining circumstances of these factors were identified. Also, the research showed different types of problems in the issue of leadership in the international and especially in the reality of Georgia. It was found out what role the leader plays in the formation of the organizational culture and, conversely, how much the organizational culture influences the leader's personal and management style. The obtained research results allow the interested parties in the future to correctly define different strategic visions related to leadership, so that their actions in this direction are successful and effective.

Key words: leader, organizational culture, type of leader, manager, management strategy.

მადლობა

ნაშრომზე მუშაობის დროს გაწეული დახმარებისთვის და სასარგებლო რჩევებისათვის მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს ბატონ პაატა ბრეკაშვილს. ასევე მადლობას ვუხდი ყველა იმ ადამიანს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ჩემს სამაგისტრო კვლევაში და მომაწოდეს კვლევისათვის საჭირო ინფორმაციები.